დადგენილება:**დ-37. 3724214001**
თარიღი:**01/08/2024**

დადგენილება N11

2024 წლის 31 ივლისი

ქ. ოზურგეთი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის (ორგ. კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის (ორგ. კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ“ წესი თანახმად N1 დანართისა.

მუხლი 2. დამტკიცდეს პროგრამის ბიზნეს იდეის ფორმა თანახმად №2 დანართისა.

მუხლი 3. დამტკიცდეს ბიზნეს განაცხადის ფორმა თანახმად №3 დანართისა.

მუხლი 4. დამტკიცდეს ბიზნეს გეგმის შეფასების ფორმა №4 დანართისა.

მუხლი 5. დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ. კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 06 ივლისის N25 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 08/07/2022წ, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.113.016474).

მუხლი 6. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი